ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის

# ლენინის დროშა

თბილისის სამხედრო ოლქის წითელარმიული გაზეთი
КРАСНОАРМЕЙСКАЯ ГАЗЕТА ТБИЛИССКОГО ВОЕННОГО ОКРУГА
„ЛЕНИНСКОЕ ЗНАМЯ" НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

№ 147 (407) | პარასკევი, 14 დეკემბერი | 1945 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაკლოვანებებისადმი ბოლშევიკური შეურიგებლობისათვის

ერთ-ერთი ასეულის პარტორგანიზაცია ნაწილში მოწინავედ ითვლებოდა. შენაერთში ჩატარებულ დათვალიერებაზე საუკეთესოდ იქნა ცნობილი ასეულის ლენინის კუთხე. როცა დასაწინაურებლად საჭირო იყო კადრები, პირველ რიგში, ამ ასეულიდან წამოაყენებდნენ ხოლმე.

და უცბად, დემობილიზაციასთან დაკავშირებით, ასეულის ძლიერმა და ბრძოლისუნარიანმა პარტორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტა. აქ დარჩა მხოლოდ პარტიის ორი წევრი და ერთი კანდიდატი.

განა ნაწილის პარტორგისა და პარტბიუროს მოვალეობა არ იყო ეზრუნა ასეულში ბრძოლისუნარიანი პარტორგანიზაციის შესანარჩუნებლად? განა, ახლა, მშვიდობიან პირობებში, მცირდება კომუნისტებისა და პარტორგანიზაციის პასუხისმგებლობა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ხარისხისათვის? თვითდამშვიდება საუკეთესო ნიადაგს სწორედ იქ პოულობს, სადაც შესუსტებულია პარტიული მუშაობა, სადაც არ არის იგი დაძაბული და კომუნისტებსაც არ უკავიათ ავანგარდული როლი. სწორედ ეს მოხდა იმ ასეულში, რომელზეც ლაპარაკია აქ. ამ ასეულში უკანასკნელ დროს შემცირდა საბრძოლო სწავლების მაჩვენებლებიც.

ასეთ ფაქტებს აქვს ადგილი ზოგიერთ სხვა ქვედანაყოფშიც, სადაც, მშვიდობიან მდგომარეობაში გადასვლასთან დაკავშირებით, შეასუსტეს მუშაობა.

მშვიდობიანი განვითარების პირობებში სამხედრო დისციპლინა და წესრიგი არამცთუ უნდა შესუსტდეს, პირიქით, საჭიროა ყოველმხრივ განმტკიცებულ იქნას. არ უნდა იქნას დაშვებული შემდეგი: ჯარების საბრძოლო მდგომარეობიდან მშვიდობიან მდგომარეობაში გადასვლამ გამოიწვია ის, რომ მებრძოლმა უფრო თავისუფლად იგრძნო თავი. ამ პირობებში ხელქვეითებისადმი მეთაურის მომთხოვნელობა ისევე უნდა იქნას გაძლიერებული, როგორც ოფიცრის ზრუნვა პირადი შემადგენლობის ყოველდღიური აღზრდისათვის, თვითეული მეომრის გონებასა და ნებისყოფაზე ზემოქმედებისათვის.

ამასთანავე, კი არ უნდა შესუსტდეს, არამედ გაძლიერებულ უნდა იქნას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ამაღლდეს პარტორგანიზაციებისა და კომუნისტების, როგორც სწავლების ხარისხისათვის, დისციპლინისა და მტკიცე სამხედრო წესრიგისათვის ბრძოლის საქმეში მეთაურის საიმედო თანაშემწეების, როლი. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ახლა, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება იწვევს მეომართა პოლიტიკური აქტივობის ყოველმხრივ ზრდას, რაც მიმართული უნდა იქნას საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლებაში ახალი წარმატებების მოპოვებისაკენ.

ჩვენი ოლქის მრავალმა ნაწილმა [illegible] საბრძოლო გზა განვლო, [illegible] ემსახურა სამშობლოს [illegible] ველზე. მაგალითად, გვარდიის უფროს ლეიტენანტ ჩადაევის ასეულში თვითეულ მებრძოლს აქვს [illegible] მთავრობის რამდენიმე [illegible] და [illegible] მთავარსარდა-ლის გენერალისიმუს სტალინის მადლობა. ასეულის კომუნისტებმა თავდადებულად იმუშავეს ომის დღეებში, ყოველთვის და ყველგან მამაცობის პირად მაგალითს იძლეოდნენ. მაგრამ, მშვიდობიან მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ, ასეულში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა შესუსტდა. აგვისტოს თვიდან აქ არც ერთი პარტიული და წითელარმიელი კრება არ ჩატარებულა. რატომ მოხდა ეს?

პირველ რიგში, იმიტომ, რომ ზოგიერთი მეთაური და პოლიტმუშაკი ვერ გაერკვა ახალ ვითარებაში, მათ ვერ გაიგეს თავიანთი ახალი ამოცანები, გამოიჩინეს უდარდელობა და თვითდამშვიდება, მძაფრად არ გამოეხმაურნენ ნაკლოვანებებს. ნაკლოვანებები კი ბევრია. დავიწყოთ იქიდან, რომ დღის განაწესს არ იცავენ, მრავალი მებრძოლი მოწყვეტილია საბრძოლო სწავლებისაგან და გამოყენებულია მხოლოდ მეორე ხარისხოვან სამეურნეო სამუშაოებისათვის, პოლიტმეცადინეობა არარეგულარულად ტარდება.

ამ ქვედანაყოფის ოფიცრებმა და პარტიულმა ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს, რომ ახალ პირობებში შეიძლება ძველი დიდებით ცხოვრება და უდარდელობას მიეცნენ. ყოველივე ამან გამოიწვია სერიოზული ნაკლოვანებანი ასეულის ცხოვრებაში და მუშაობაში.

ჩვენმა წითელმა არმიამ ძლევამოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი და წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე ძლიერ არმიას. იგი აღჭურვილია პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით, შეიარაღებულია უმდიდრესი საბრძოლო გამოცდილებით, ჰყავს მსოფლიოში ყველაზე უფრო გამოწრთობილი, სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის მხრივ კარგად მომზადებული მებრძოლთა, სერჟანტთა და ოფიცერთა კადრები. მაგრამ ყოველივე ეს არ შეიძლება გახდეს საფუძველი თვითდამშვიდებისათვის, პირიქით, იგი გვავალებს კიდევ უფრო ბეჯითად და შეუპოვრად, მთელი მგზნებარებითა და ენერგიით ვიბრძოლოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, სრულვყოთ მთელი პირადი შემადგენლობის მხედრული ოსტატობა.

„წითელ არმიაში არ შეიძლება იყოს თავბრუდახვევა წარმატებებისაგან. მთელმა წითელმა არმიამ უნდა ისწავლოს და ისწავლოს, ბეჯითად აითვისოს დიდი სამამულო ომის უძვირფასესი საბრძოლო გამოცდილება. ახლა ეს არის მთავარი". (სახალხო კომისრის № 75 ბრძანებიდან).

თვითეული ოფიცრის, პოლიტმუშაკის, კომუნისტის მოვალეობაა ბოლშევიკურად გამოეხმაუროს წესრიგის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის უმცირეს დარღვევასაც კი, აწარმოოს მის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა, თავის ხელქვეითებს უჩვენოს პირადი მაგალითი, დანერგოს მათში განუწყვეტელი მისწრაფება მხედრული სრულყოფისაკენ, ომის გამოცდილების ათვისებისაკენ, ცხოვრებასა და სწავლებას მშვიდობიან პირობებში პირადი შემადგენლობის პოლიტიკურ აღზრდასთან დაკავშირებულ მთელი მუშაობის ახალ, უმაღლეს საფეხურზე აყვანისაკენ.

## საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან

### პოლონეთის მუშათა პარტიის პირველ ყრილობას

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება პოლონეთის მუშათა პარტიის პირველი ყრილობის მონაწილეებს — პოლონეთის მუშათა კლასის ინტერესებისა და პოლონელი ხალხის თავისუფლებისათვის ერთგულ მებრძოლებს.

პოლონეთის მუშათა პარტია, რომელიც წარმოიშვა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და პოლონეთში მათი აგენტების წინააღმდეგ პოლონელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში, გამოიწრთო ამ ბრძოლაში და პოლონეთის მშრომელთა მოწინავე მასობრივი პარტია გახდა. ძლიერი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული პოლონეთისათვის ბრძოლით, პოლონეთის მუშათა პარტიამ დიდი წარმატებები მოიპოვა პოლონეთის დემოკრატიული ძალების დარაზმვის საქმეში, სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული ორგანოების მოწყობის საქმეში, პოლონეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა შექმნის საქმეში.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ აღორძინებული პოლონეთის მუშებს, მშრომელ გლეხებსა და დემოკრატიულ ინტელიგენციას პოლონეთის მუშათა პარტიის სახით ჰყავთ ერთგული ხელმძღვანელი და ნაცადი ორგანიზატორი, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას თავისი სამშობლოს ინტერესები და გადალახოს ახალი ცხოვრების მშენებლობის სერიოზული სიძნელენი იმ ქვეყანაში, რომელიც დაზარალდა როგორც გერმანელ მტარვალთაგან, ისე პოლონელ რეაქციონერთა ემიგრანტული ხროვის გამცემლობისაგან.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს ეჭვი არა აქვს, რომ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის რესპუბლიკის ხალხთა ძმური კავშირი და ურღვევი მეგობრობა განუხრელად განვითარდება და განმტკიცდება.

გაუმარჯოს პოლონეთის მუშათა პარტიის პირველ ყრილობას!

გაუმარჯოს პოლონეთის მუშათა პარტიას და მის ხელმძღვანელებს!

გაუმარჯოს პოლონეთის მუშათა კლასს!

გაუმარჯოს ძლიერ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ პოლონეთს!

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

1945 წლის 12 დეკემბერი.

## იამალ-ნენეცთა ეროვნული ოლქის 15 წლისთავი

**სალეხარდი**, 11 დეკემბერი. (საქტაგი). განიერი მდინარე ობიდან იმიერპოლარული ურალის თხემიან მწვერვალებამდე და კარის ზღვის ყინულით ნაპირებამდე ათასობით კილომეტრზე გადაჭიმულია იამალის ტუნდრის უსაზღვრო სივრცე. აქ დაიდგა ხანგრძლივი პოლარული ღამე დედამიწა წყვდიადში გახვია. მოღრუბლულ ცაში მხოლოდ ხანდახან გაკრთება ჩრდილოეთის ციალი, და მაშინ ტუნდრა ნაირფერად გაკაშკაშდება.

ნენეცები, ხანტები და სხვა ეროვნებანი, რომლებიც იამალის ნახევარკუნძულზე მოსახლეობენ, აღნიშნავენ იამალ-ნენეცთა ეროვნული ოლქის შექმნის 15 წლისთავს. ამ წლების მანძილზე ჩრდილოეთის ხალხებმა სახელოვანი გზა განვლეს. ოლქში შექმნილია 12 თევზის ქარხანა, 7 მოტორ-თევზსაჭერი სადგური, აგებულია საკონსერვო კომბინატი და ფაბრიკა. თევზის ჭერა წლიდან წლობით ვითარდება. მარტო წელს ჩრდილოეთის მეთევზეებმა სამშობლოს მისცეს 150 ათასზე მეტი ცენტნერი თევზი. ოლქის საკონსერვო მრეწველობამ ჯერ კიდევ 1 ნოემბერს გადამეტებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა. იამალის ბეწვეული განთქმულია თავისი მაღალი ხარისხით.

მრავალი ათასი სულით ცოცხლობს ირმის ჯოგი, რომელსაც აქ დიდად აფასებენ როგორც სატრანსპორტო საშუალებას, როგორც ტანსაცმლისა და საზრდოს მიმცემ ძვირფას მოსახლეობისათვის.

ოდესღაც იმიერპოლარეთის მიწა უნაყოფოდ ითვლებოდა, ამჟამად აქ ჩინებულად ხარობს კარტოფილი, ბოსტნეული, იმიერპოლარული საცდელი სასოფლო-სამეურნეო სადგურის მუშაკებს წარმატებით მოჰყავთ ადგილობრივი ჯიშის ქერი და ხორბალი.

მეურნეობის განვითარებასთან ერთად ოლქში კულტურაც ვითარდება: მუშაობს 61 სკოლა, 33 სკოლა-ინტერნატი, სადაც ბავშვები სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე არიან. ნენეცთა ბავშვები იღებენ არა მარტო დაწყებითს, არამედ საშუალო სპეციალურ განათლებასაც. ოლქის ცენტრში — სალეხარდში შექმნილია ეროვნული პედაგოგიური სასწავლებელი, ზოოტექნიკუმი, სავაჭრო სკოლა, მზადდებიან სასოფლო-სამეურნეო კადრები, მედიცინის მუშაკები.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველდღიურად ზრუნავს ჩრდილოეთის ხალხების კეთილდღეობისათვის. ოლქში მოწყობილია 9 საექიმო პუნქტი, ბავშვთა და ქალთა კონსულტაციები, შექმნილია 63 სამედიცინო-საფერშლო პუნქტი, მათ შორის 50-ტუნდრაში. უზრუნველყოფილია კავშირგაბმულობა ცალკე რაიონებსა და სოფლებს შორის. იამალში ითვლება 47 საფოსტო განყოფილება, 60 რადიოსადგური.

დიდი სამამულო ომის წლებში ათასობით ნენეცი, ხანტი და ჩრდილოეთის სხვა ხალხები, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელნი, იარაღით იცავდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართ. 200-ზე მეტი კაცი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გმირობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

გუშინ დღესასწაულზე სალეხარდის ტუნდრიდან ჩამოვიდა 300-ზე მეტი წარჩინებული მეირმე, მონადირე, მეთევზე. ქალაქში იხსნება სადღესასწაულო გამოფენა, დაიწყება ტრადიციული ირემთა მარულა.

## დაიწყო მსუბუქი ავტომობილების „ზის-110" წარმოება

სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხანა შეუდგა უმაღლესი კლასის შვიდადგილიანი მსუბუქი მანქანების „ზის-110" წარმოებას.

ახალ ავტომობილს აქვს ლამაზად მოხაზული ძარა-ლიმუზინი. მანქანას აქვს რადიომიმღები, გათბობის სისტემა, მინების ჰიდრავლიკური ამწევი და უახლესი თანამედროვე ხელსაწყოები.

„ზის-110"-ზე დადგმულია მძლავრი 8-ცილინდრიანი ძრავი. ავტომობილის მაქსიმალური სისწრაფეა გზატკეცილზე 140 კილომეტრი საათში.

50-ზე მეტი მომიჯნავე საწარმო ამზადებს „ზის-110"-სათვის ათასზე მეტი სახელწოდების დეტალსა და აგრეგატს. ისინი ამზადებენ მისთვის სანთლებს, სიგნალებს, რადიომიმღებებს, რამდენიმე ათეული ტიპის საკისრებს და ლითონის, რეზინის, პლასტმასის, ფიბრის, ფეტრისა და ქსოვილის მრავალ ნაწარმს. მასალებს ახალი ავტომობილისათვის ღებულობენ ლენინგრადიდან, გორკიდან, ვლადიმირიდან, კუიბიშევიდან, სვერდლოვსკიდან, იაროსლავლიდან და სხვა ქალაქებიდან. (საქტაგი).

## მოძრავი ელექტროსადგური თბილისისათვის

საქართველოში გაიგზავნა ენერგომატარებელი ხუთიათასი კილოვატის სიმძლავრისა. იგი იმუშავებს ადგილობრივი ტყვარჩელის ქვანახშირით. მოძრავი ელექტროსადგური ათასობით კილოვატსაათ ახალ ელექტროენერგიას მისცემს თბილისს. (საქტაგი).

მებრძოლის დასახმარებლად

# ორიენტირება ადგილობრივი საგნების და ნიშნების საშუალებით

ადგილმდებარეობაში ორიენტირება შეიძლება რუკით, კომპასით და სხვ. ეს შეიძლება აგრეთვე ადგილობრივი საგნებისა და ნიშნების საშუალებითაც.

არ არის ისეთი ადგილმდებარეობა, რომელიც დაკვირვებულ ადამიანს არ დაეხმაროს ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრაში. ამ მხრივ შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა.

ვის არ შეხვედრია გზაზე ბორცვები, ყორღანები, მაღლობები. ბევრს აზრადაც არ მოსვლია, რომ მათი საშუალებით შეიძლება ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა.

გაზაფხულზე ბორცვების, ყორღანების, მაღლობების სამხრეთ ფერდობზე თოვლი სწრაფად იწყებს დნობას. ეს ფერდობი ადრე თავისუფლდება თოვლისაგან და პირველი ბალახიც აქ ამოდის. ამავე ფერდობზე ბალახი ადრე იწყებს გაყვითლებას.

იქ, სადაც არ არის ბორცვები, ყორღანები და მაღლობები, ორიენტირებაში დაგვეხმარება ტყის პირას ამოსული მცენარეები. ახალგაზრდა ფიჭვი და ნაძვი ამოდის და სწრაფადაც იზრდება მინდვრის სამხრეთ მხარეზე. მაღლობზე მდებარე ტყეში წიწვიანი მცენარეები ჩრდილოეთ ფერდობზეა.

ტყის პირას ამოსული კენკრებიც დაგვეხმარება გამოვარკვიოთ, თუ სად არის სამხრეთი და სად არის ჩრდილოეთი. პირველი მწიფე მარწყვი და ხენდრო ქსათუოდ ჩრდილოეთის მხარეზე იქნება. მარწყვი და ხენდრო დაგვიანებით მწიფდება სამხრეთ მხარეზე.

გაზაფხულზე ადვილია ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა თოვლის საშუალებით. პირველად თოვლი იწყებს დნობას ბოძების, ბუჩქების, ხეების ირგვლივ, სადაც ჩნდება ხვრელები. ეს ხვრელები სამხრეთ მხარეზე უფრო ფართო და ღრმაა. თუ ქარბუქი იყო და ძველი თოვლისაგან გაკეთებული ხვრელები ახალი თოვლითაა ამოვსებული, საჭიროა მათი ამოწმენდა, ამის შემდეგ შეგვიძლია გავიგოთ, თუ რომელი მხარეა უფრო ფართო და ღრმა.

მინდორზე თოვლი დნობის დროს წვრილ სტოვებს ყინულებს. მათი წვეტები მიმართულია სამხრეთისაკენ.

ზამთარში თუ დავაკვირდებით ეზოებს შევამჩნევთ, რომ მათ ჩრდილოეთ ნაწილში თოვლი დატკეპნილია, ყრია განავალი, საკვების ნარჩენი და სხვ. ცნობილია, რომ ზამთარში საქონელსა და ფრინველებს უყვართ გაჩერება მზის მხარეზე.

საზაფხულო წყალსალევზე ადგილობრივი საგნებიდან ჩრდილოეთით, ჩრდილოეთი მხარე უფრო დატკეპნილია. ამ ადგილზე უყვარს საქონელს დასვენება.

გადახერხილ ხის ძირკვზე ემჩნევა რგოლები, რომლებიც წლიურ ნაზრდობას გვიჩვენებენ. ეს რგოლები უფრო შემჭიდროებულია ჩრდილოეთით და გაფართოებულია სამხრეთით.

სამხრეთ მხარეზე ხის ტოტები უფრო ხშირი და თანაც უფრო გრძელია; ჩრდილო მხარეზე ხის ქერქი უფრო ხორკლიანია და ხშირად ხავსით არის დაფარული.

ორიენტირებისათვის ადგილობრივი საგნებისა და ნიშნების გამოყენებისას საჭიროა ყურადღების გამახვილება და მიხვედრილობა.



ფრონტისპირა მეტყვიამფრქვევენი ს. ახმეტოვი (მარჯვნივ) და პ. ხაზურენკო ტაქტიკურ მეცადინეობაზე.

ფოტო უფრ. ლეიტენანტ ვ. სტოლიაროვისა.

# ნაწილებსა და ქვედანაყოფებში

## საყარაულო სამსახურის საუკეთესოდ შესრულებისათვის

ჩვენი ქვეგანაყოფის საგარნიზონო საყარაულო განწესებაში გასვლის წინ შეიკრიბნენ კომკავშირელი და უპარტიო მებრძოლები და სერჟანტები. მომზადებული მქონდა საუბარი თემაზე: „საყარაულო სამსახურის შესრულება საბრძოლო ამოცანის შესრულებაა“. საუბარი დავიწყე იმით, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აწევს თვითეულ გუშაგს, რომლის სიფხიზლეზე ხშირად მრავალი ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული. ამას წინათ ჩვენს კლუბში გვიჩვენეს კინოსურათი „ჩაპაევი“. მოვაგონე გუშაგს გაუფრთხილებლობას როგორი დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. მებრძოლებს გავახსენე ეს ეპიზოდი და ვუამბე გუშაგის უფლება-მოვალეობის შესახებ. მოვიყვანე რამდენიმე მაგალითი, თუ ჩვენი ქვეგანაყოფის მებრძოლებმა წინა განწესებაში როგორ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს კომკავშირელებმა და უპარტიო ამხანაგებმა. მათ მოიყვანეს საყარაულო სამსახურისადმი გულგრილი დამოკიდებულების ზოგიერთი მაგალითი ჩვენი ქვეგანაყოფის ცხოვრებიდან.

საუბრის შემდეგ განწესებაში დანიშნულმა კომკავშირელმა და უპარტიო მებრძოლებმა პირობა დადეს, რომ სამაგალითოდ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

მეორე დღეს, როცა მებრძოლები განწესებიდან დაბრუნდნენ, მათ მოიტანეს მადლობის ფურცელი ყარაულის მთელი შემადგენლობის სახელზე. გარდა ამისა, პირადი მადლობა ჰქონდათ გამოცხადებული უფროს სერჟანტ საკიაშვილს და მალაზაშვილს, სერჟანტებს გელაშვილს, გელაშვილს, ცაცლიას, მებრძოლებს გ. ბუთხუზს, გ. ბურდულს, ბ. ხელაძეს, ა. ოქრომჭედლიშვილს, ფ. მეტრეველს და სხვებს.

ეფრეიტორი ვ. ხურციძე

## მეკავშირეებმა ამოცანა წარმატებით შეასრულეს

სერჟანტ რუსიას მეკავშირეთა ათეული საბრძოლო მომზადებაში ერთ-ერთი მოწინავეთაგანია ჩვენს ქვეგანაყოფში. ათეულის პირადი შემადგენლობა კარგად არის დაუფლებული ტელეფონის აპარატს, ხაზის გაყვანის ორგანიზაციას და ქვეგანაყოფებს შორის სატელეფონო კავშირის სწრაფად დამყარებას.

ამას წინათ საინსტრუქტორო შემოწმებაზე სერჟანტ რუსიას ათეულს მიეცა ამოცანა გაეყვანა სატელეფონო ხაზი 5 კილომეტრის მანძილზე. ხაზის გაყვანისათვის ათეულს მიეცა ერთი საათი დრო.

ათეულის მეთაურმა ამოცანა გააცნო პირად შემადგენლობას. დანიშნულ დროზე მეკავშირეებმა დაიწყეს მოქმედება. ხანგრძლივი ვარჯიშით გაწრთვნილი მებრძოლები სწრაფად სძლევდნენ დაბრკოლებას და გაჰყავდათ ხაზი. ნაცვლად ერთი საათისა, სატელეფონო ხაზის 5 კილომეტრზე გაყვანას მათ 36 წუთი მოანდომეს.

ათეულის პირად შემადგენლობას ქვეგანაყოფის მეთაურმა მადლობა გამოუცხადა.

უმცროსი სერჟანტი ა. ცინცაძე

## მშობლებს ეცნობა

მებრძოლები და სერჟანტები გედევანიშვილი, სოსიტაშვილი, დანელია, ზარნაძე და ფრუიძე მთელს ქვეგანაყოფში ცნობილი არიან, როგორც მოწინავე ამხანაგები. ისინი გამოირჩევიან მაღალი დისციპლინით, კულტურითა და მხედრული გარეგნობით. ამას წინათ ჩატარებულ შემოწმებაზე საცეცხლე მომზადებაში მათ მაღალი მომზადება გამოიმჟღავნეს.

პირად შემადგენლობაში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს ამხ. გედევანიშვილი. ამხანაგებს უყვართ იგი იმისათვის, რომ ყოველთვის მზადაა დაეხმაროს თვითეულს სწავლაში. იგი ყველასათვის ზრუნავს, მის თვალს წვრილმანიც კი არ გამოეპარება.

წარჩინებულ სწავლისა და დისციპლინისათვის ყველა ამ ამხანაგს მადლობა გამოეცხადა, რაც მათ მშობლებსაც ეცნობა.

სერჟანტი ა. აბაშიძე.

## ზამთარს მოუმზადებელი შეხვდნენ

ნ საარტილერიო ქვეგანაყოფი ზამთარს მოუმზადებელი შეხვდა. ყაზარმას, სადაც პირადი შემადგენლობა ცხოვრობს, თუმცა ნაწილობრივ გაუკეთდა რემონტი, მაგრამ არადამაკმაყოფილებლად. ხის კედლებში დარჩენილია ჭუჭრუტანები, შენობაში შემოდის ქარი და ძლიერ ცივა.

არადამაკმაყოფილებლადაა მოწყობილი მებრძოლთა საწოლებიც. სანივთე ნაწილის მუშაკებმა თავის დროზე არ გამოიჩინეს სათანადო მზრუნველობა და არ მოიმარაგეს ჭილი ლეიბებისათვის.

სათანადო პირობები არაა შექმნილი საყარაულო სამსახურის ნორმალურად შესრულებისათვის. საყარაულო შენობა არ თბება. არაა მომარაგებული აგრეთვე საჭირო ინვენტარით.

დაზამთრდა. თოვლი უკვე მოვიდა. საჭიროა დროულად ზრუნვა, რათა პირად შემადგენლობას შეექმნას ნორმალური მეცადინეობისა და დასვენების პირობები.

(ჩვენი კორ.)

# დავეუფლოთ თვალთვალის ხელოვნებას

ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდებაში ნათქვამია, რომ ბრძოლაში წარმატებისათვის საჭიროა **„არასოდეს არ მისცე მოწინააღმდეგეს საშუალება მოულოდნელად დაგატყდეს თავს; იქონიე საიმედო დაცვა, განუწყვეტლივ აწარმოე თვალთვალი და დაზვერვა“.**

საბრძოლო წესდების ეს მოთხოვნა ჩემთვის ურღვევი კანონია. ტაქტიკურ მეცადინეობაზე მე დაკვირვებით ვუთვალთვალებ ჩემს საცეცხლე ზოლს და გულდასმით ვსწავლობ ადგილმდებარეობას, არც ერთ საგანს არ ვტოვებ ყურადღების გარეშე. ამრიგად, მე ჩვევად გადამექცა ყველაფერს მივაქციო ყურადღება, რაც ველზე ჩემს თვალთახედვის ქვეშ მოხვდება. ამ ჩვევამ სწავლის დროს დიდი სამსახური გამიწია.

ცნობილია, რომ შენიღბვის საქმეში სნაიპერის გამომგონებლობა განუსაზღვრელია. იგი სარგებლობს ყოველგვარი მოულოდნელობით, ხანდახან ეს გამომგონებლობა ისე მარტივად გეჩვენება, რომ გგონია მას ბავშვიც კი მოიფიქრებდა, მაგრამ სინამდვილეში ეს სრულიად მარტივი გამომგონებლობა ხშირად გასაოცარ საქმეებს ახდენს. საქმეც იმაშია, რომ მოულოდნელობა და მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა ყოველთვის ასეთ უბრალოებიდან გამომდინარეობს. მეთვალთვალე, რომელიც გაცნობილი არ არის მტრის ოინებს, რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგეს ეძებს დაუწყებს ისეთ ადგილებში, სადაც შენიღბვისათვის ბუნებრივად ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. მაგრამ შესაძლებელია მოწინააღმდეგე შენს ახლოს სადმე სრულიად უმნიშვნელო საგანს ეფარება. ამიტომ, მეთვალთვალემ ყურადღების გარეშე არ უნდა დატოვოს არც ერთი წვრილმანი.

მინდა გიამბოთ ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ. ერთხელ მეცადინეობაზე დამავალეს საცეცხლე ზოლის თვალთვალი, სადაც „მოწინააღმდეგის“ სნაიპერი მოქმედებდა. ადგილმდებარეობა სწორი იყო და დამალვა მხოლოდ-მხოლოდ მიწაში შეიძლებოდა. ამიტომ მთელი ჩემი ყურადღება მივაქციე შენიღბვის გამომჟღავნებელ მაჩვენებლებს — ახლად ამონათხრებს, მწვანე ბალახებს და სხვ. ამას დიდი დრო მოვანდომე.

სად უნდა იყოს?— შევეკითხე ჩემს თავს, — ნუთუ იმ ხმელი ხის ჩამოცვენილ ტოტებში იმალება. მაგრამ ის ხომ ძალიან გამოსარჩევი საგანია, იმისათვის რომ სნაიპერმა საცეცხლე პოზიციად გამოიყენოს?

„მოწინააღმდეგემაც“ კარგად იცოდა ეს. იგი ფიქრობდა, რომ მე უმნიშვნელო და ძნელად შესამჩნევ საგნებს დავუწყებდი თვალთვალს და შენიღბვისათვის ბუნებრივად ხელსაყრელ საგნებს უყურადღებოდ დავტოვებდი. მე კი ამ შემთხვევაში სულ შემთხვევით მოვიქეცი და არც შევცდი. იგი აღმოვაჩინე, მაგრამ ხის იმ ტოტებთან კი არა, სადაც მე ვეძებდი (მეც მის ადგილზე, რომ ვყოფილიყავი ასე მოვიქცეოდი), არამედ ცოტა განზე. მას ხის რამდენიმე ტოტი ზევით ჰქონდა გადაფარებული.

თითქოს ყოველივე ეს ძალიან უბრალო რამეა, მაგრამ ძალიან ძნელია ამის თავის დროზე მიხვედრა. მეთვალთვალის ხელოვნება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გამოიცნოს, თუ რას ფიქრობს მოწინააღმდეგე, რა ხერხებს მიმართავს იმისათვის, რომ დაგიმალოს. უნდა შეგეძლოს მტრის დაგეგმული მანე გამოიცნო, ჩასწვდე მის განზრახვაში, მიაგნო იმ ადგილს, სადაც ჩასაფრებულია იგი, რომელსაც, მისი აზრით, შენ ვერასოდეს ვერ მიაკვლევ. მაშინ იქნები კარგი მეთვალთვალე და გჯეროდეს, რომ მტერს ყოველთვის დაამარცხებ.

ასე ვსწავლობთ და ვეუფლებით თვალთვალის ხელოვნებას ლეიტენანტ დ. კენიას ქვეგანაყოფის მებრძოლები და სათანადო წარმატებებსაც მივაღწიეთ.

უფროსი სერჟანტი შ. ჩაჩანიძე.

